შიდაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№22 (9.687)

20 – 27 ივნისი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

13.06.2015 TBILISI

თბილისი, სტიქია და საქართველო



წვიმა საქართველოში არასოდეს ასოციირდებოდა შიშთან, არც სტიქიასთან, პირიქით, ის ხშირად იყო პოეტების მუზაც და ბევრისთვის საყვარელი ბუნებრივი მოვლენაც... 13 ივნისმა ბევრი რამ შეცვალა... მათ შორის დამოკიდებულება წვიმის მიმართაც... მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ ამდენი უბედურების შემდეგ ყველამ დავინახეთ, რამხელა სიყვარული და თანადგომის უნარი გვქონია, რომელიც კომპიუტერებთან მივჯაჭვულებს აღარც გვახსოვდა... ხშირად ვსაყვედურობდით ახალ თაობასაც, გაუცხოებულები და სიყვარულისგან დაცლილები ხართო, არადა, რამხელა სიყვარული შეძლებიათ... ამით ყველანი ამაყები ვართ... სტიქიის ადგილებში ტალახში ამოსვრილი ახალგაზრდები მიდი-მოდიან, ტალახში ამოგანგლული ნიჩბებით ხელში. არად დაგიდევენ საკუთარ ჯანმრთელობას, ხოლო ერთმანეთის გასამხნევებლად არც იუმორი ავიწყდებათ- ფრაზა „ძალიან გიხდება ტალახი“-მათში დღეს,

ისე როგორც არასდროს, აქტუალურია.თაობა, რომელმაც საქართველოში 1989 წლის 9 აპრილს შექმნილი საზარელი სიმბოლო – ნიჩაბი – სიყვარულისა და თანადგომის სიმბოლოდ აქცია; თაობა, რომელმაც უბედურების ჟამს თავისი მთავარი სათქმელი თქვა: ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი ჩვენ ვართო!

ისე მოხდა, რომ თბილისის ზოოპარკი და „მზიური“ თბილისს თავსდატეხილი უბედურების სიმბოლოდ იქცა. პარადოქსია, მაგრამ, ამავე დროს, იქცა სიყვარულის, თავდადებული შრომის, თანადგომისა და მოულოდნელად აღმოჩენილი ერთად ყოფნის ბედნიერების სიმბოლოდ...

მართალია, ამ დღეებში ზოგიერთმა სულ სხვაგვარად სცადა თავის წარმოჩენა, მაგრამ ამაზე აღარაფერს ვიტყვი, რადგან ისინი აშკარად უმცირესობაში მოხვდნენ...

ზოგჯერ მართლაც იქნებ ტრაგედიაა საჭირო, რომ ადამიანებმა სულიერი კათარზისი განვიცადოთ, ანდა სულაც გავიგოთ, რას წარმოვადგენთ რეალურად.

სტიქიამ საქართველოში 19 ადამიანი იმსხვერპლა. უმეტესობა დედაქალაქში, მდინარე ვერეს შემოტევას შეეწირა. ადიდებულმა მდინარემ ხალხი მანქანებიანად გაიტაცა. ამ დრომდე ეძებენ რამდენიმე დაკარგულს. პარალელურად მიმდინარეობს ზოოპარკიდან გაქცეული მტაცებელი ცხოველების ძებნა.

მდინარე ვერეს მძლავრმა ნაკადმა ვაკე-საბურთალოს გზისა და გმირთა მოედნის დამაკავშირებელი მაგისტრალის დიდი ნაწილი დატბორა — ადიდებულმა მდინარემ დაანგრია სახლები, ხოლო ავტომობილებიდან ზოგი ერთმანეთს მიახეთქა და ზოგიც გაიტაცა. თვითმხილველთა მტკიცებით, გატაცებულ ავტომობილებში ხალხიც იჯდა. დაღუპული 19 ადამიანიდან სამი ზოოპარკის თანამშრომელია. მსხვერპლი მოჰყვა მეწყერის ჩამოწოლას წყნეთი-ბეთანიის გზაზე. ამ დრომდე ეძებენ დაკარგულებს. ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, სხვადასხვა ტიპის დახმარებისთვის კლინიკებს 40-მდე პირმა მიმართა და მათი უმეტესობა უკვე გაეწერა კიდეც.

ვაკის რაიონის გამგეობის ცნობით, უსახლკაროდ დარჩა 200-მდე ადამიანი და ადგილობრივი ხელისუფლება მათ დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფს. სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის პირველადი მოხმარების საგნებისა და ნივთების შეგროვდება მიმდინარეობს თბილისის რაიონების გამგეობებში. საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით, თბილისში 24 საათის განმავლობაში მუშაობს ძლიერი წვიმის გამო პრობლემების სალიკვიდაციოდ შექმნილი საგანგებო შტაბი. შტაბის კოორდინაცია სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს დაევალა. მას შემდეგ, რაც ზარალი დაითვლება, ხელისუფლება დაზარალებულებს კომპენსაციას შესთავაზებს. პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ თავისი სარეზერვო ფონდიდან გამოყოფს თანხებს სტიქიით დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად.

მდინარე ვერემ თითქმის მთლიანად გაანადგურა თამაზ ელიზბარაშვილის ძაღლების თავშესაფარი, რომელიც გივი სვანიძის ქუჩაზე მდებარეობდა. თუკი 10 დღის წინ მდინარე ვერეს პირველი შემოტევისას,

(გაგრძელება გვ.3)

არასრულწლოვანი გოგონების ქორწინება მკაცრად უნდა ისჯებოდეს

გვ.2

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში ტესტირება ჩატარდება

გვ.3

დილემა: სკოლაში თუ სახლში?!

გვ.5

შთაბეჭდილება, რომელიც დიდხანს გაგვყვება!

გვ.6

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი- ვერეს ხეობის დაგეგმარების პროცესში ცნობილი ექსპერტები ჩაერთვებიან

პრემიერმა - ირაკლი ღარიბაშვილმა ვერეს ხეობის დაგეგმარების საკითხთან დაკავშირებით, უწყებათაშორის კომისიასთან საგანგებო შეხვედრა გამართა. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ვერეს ხეობის დაგეგმარების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციები და მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტები ჩაერთვებიან.

პრემიერ-მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ დაგეგმარების პროცესი იქნება ღია და მაში ჩართვის საშუალება ყველა სპეციალისტს ექნება.

„დღეს ტარდება სახელმწიფო კომისიის პირველი სხდომა. ჩვენი მთავარი მიზანი არის ის, რომ მოხდეს ვერეს ხეობის და მისი მიმდებარე ტერიტორიის სრული შესწავლა, მოხდეს შემდგომი აღდგენთი სამუშაოების სწორი დაგეგმვა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დადგინდეს, თუ როგორ დაგეგმარდეს ვერეს ხეობა. ყველა სამუშაოს დაგეგმვა ამ ხეობაში უნდა ეფუძვნებოდეს გლობალურ ხედვას. უნდა შეიქმნას პრეცენდენტი საზოგადოებისთვის და ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე გაიმართოს დისკურსია. ეს პორცესი უნდა იყოს ღია და ყველა სპეციალისტს შეეძლოს მონაწილეობის მიღება, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა კი ყველა ალტერნარტიულ აზრს უნდა მოვუსმინოსთ და შემდეგ მივიღიოთ გადაწყვეტილება.

ვერეს ხეობის შესწავლას და სამუშაოების დაგეგმვას ჩვენ ვიწყებთ მოსფლიო დონის სპეციალისტებტან ერთად. უნდა მომზადდეს მაღალკალიფიციური დასკვნა, რომლის მიხედვითაც ვიხელმძღვანელებთ ამ ტერიტორიაზე ნებისმიერი პროექტის განხორციელებისას. ამ პროცესში მონაწილეობას მიიღებსნ მსოფლიოში აღიარებული ექსპერტები და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციბი,“-განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტი დევიდ კემერონს შეხვდა

დევიდ კემერონმა ქართულ მხარეს ევროინტეგრაციისა და უელსის ნატო-ს სამიტის არსებითი პაკეტის ელემენტების იმპლემენტაციის პროცესში დახმარება აღუთქვა.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გლობალური უსაფრთხოების ფორუმის ფარგლებში, დღეს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს დევიდ კემერონს შეხვდა.

დევიდ კემერონმა ღრმა მწუხარება გამოთქვა თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო და ქართველ ხალხს სამძიმარი და თანადგომა გამოუცხადა.

შეხვედრისას მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები განიხილეს და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივაზე ისაუბრეს.

საქართველოს პრეზიდენტმა დევიდ კემერონს მადლობა გადაუხადა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებებისადმი, ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერისათვის. ხაზგასმით აღინიშნა დიდი ბრიტანეთის მკაფიო განცხადებები და პოზიცია, რუსეთის ფედერაციასა და სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმებს შორის გაფორმებული ე.წ „ხელშეკრულებების“ დაუშვებლობის შესახებ.

თავის მხრივ დევიდ კემერონმა ქართულ მხარეს ევროინტეგრაციისა და უელსის ნატო-ს სამიტის არსებითი პაკეტის ელემენტების იმპლემენტაციის პროცესში დახმარება აღუთქვა.

მხარეებმა რეგიონსა და მთლიანად მსოფლიოში არსებული უსაფრთხოების გარემოზე ისაუბრეს. აღინიშნა საქართველოს აქტიური მონაწილეობა ნატო-სა და ევროკავშირის სამშვიდობო მისიებში, რაც ხელს უწყობს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების გაძლიერებას.

სტუდენტებმა სტიქიის ზონა დაათვალიერეს

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივით, გეოლოგიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტებმა წყნეთი - ბეთანიის გზის მონაკვეთზე არსებული სტიქიის ზონა დაათვალიერეს

გეოლოგია საქართველოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია, აქედან გამომდინარე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივაა, რომ გეოლოგიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტები ინტენსიურ კავშირში იყვნენ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტთან და თეორიულ ცოდნასთან ერთად, მეწყრული ზონების ადგილზე შესწავლით მიიღონ პრაქტიკული განათლება.

დედოფლისწყარო სეტყვას გადაურჩა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 12 ივნისს ღამით ძლიერი წვიმისა და ქარის შედეგად, მუნიციპალიტეტისა და თბილისის დამაკავშირებელ გზაზე, სოფელ გამარჯვებაში წაიქცა ხეები, რის შედეგადაც ელექტროენერგია გაითიშა, ასევე ქ. დედოფლისწყაროს რამდენიმე ქუჩაზე ქარმა წააქცია ხეები, რომელმაც გაზის მილები დააზიანა. პრობლემის აღმოფხვრა გვიან ღამითვე დაიწყო, ღამის 01:00 საათზე ადგილზე იმყოფებოდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სამსახურის ხელძღვანელობასთან ერთად. მალევე გაიწმინდა გზები, აღმოიფხვრა პრობლემა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ელექტროენერგიის და გაზის მიწოდება აღუდგა.

ასევე, ამოქმედდა სეტყვის საწინააღმდეგო რადარები და დედოფლისწყარო სეტყვას გადაურჩა.

ირაკლი ღარიბაშვილი ჟურნალისტების დაჯილდოების ინიციატივით გამოდის

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ჟურნალისტების დაჯილდოების ინიციატივით საგანგებო შტაბის სხდომაზე გამოვიდა.

პრემიერის თქმით, აუცილებლად უნდა დაფასდეს იმ ჟურნალისტების ნამუშევრები, რომლებმაც ამ მძიმე დღეებში თავდაუზოგავად იმუშავეს და სწორედ მათი დახმარებით გაიგო საზოგადოებამ ბევრი ადამიანის გმირობის შესახებ.

თეა წულუკიანი _ არასრულწლოვანი გოგონების ქორწინება უფრო მკაცრად უნდა ისჯებოდეს

ბათუმში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში ''საქართველოს ევროპული გზა'', საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანიც მონაწილეობს. იუსტიციის მინისტრმა ჟურნალისტებთან კონფერენციის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ყველა ის რეფორმა, რაც საქართველოში ორი წლის განმავლობაში სამართლის სფეროში მიმდინარეობს ახალ თაობებს უკეთეს საქართველოში საცხოვრებლად სჭირდება.

თეა წულუკიანმა კომენტარი გააკეთა ქალთა წინააღმდეგ ძალადობის პრევენციის მიზნით 20-მდე კანონში ცვლილებების შესვლის შესახებაც და განაცხადა, რომ ცვლილებების მიზანია გამკაცრდეს ზოგიერთი კანონი ისე, რომ მათ გადამარწმუნებელი ეფექტი ჰქონდეთ:

“ჩვენ შარშან ხელი მოვაწერეთ სტამბულის კონვენციას, რომელიც მიმართულია ოჯახში ძალადობისა და ქალის წინააღმდეგ ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისაკენ. ახლა საჭიროა ამ კონვენციის რატიფიკაცია, მაგრამ ეს ვერ მოხდება, თუ ჩვენ არ შევიტანეთ ცვლილებები და სადაც საჭიროა იქ არ გავამკაცრეთ კანონი.

პრაქტიკულად შემუშავებულია ქალებისთვის, მათი უფლებების დასაცავად ძალიან მასშტაბური და მე ვიტყოდი, რევოლუციური ცვლილებათა პაკეტი, რომელზეც საჯარო დისკუსია ჩვენ ორი დღის წინ დავიწყეთ, მათ შორის რაიონებშიც გავმართავთ შეხვედრებს იმისთვის, რომ ჩვენმა ქალებმა გაიგონ, თუ რა ახალი უფლებები ექნებათ. მაგალითად ის, რომ უფრო მკაცრად უნდა ისჯებოდეს არასრულწლოვანი გოგონების ქორწინება, იმიტომ, რომ ეს დაუშვებელია. დღეს ეს ისჯება, მაგრამ არასათანადოდ. სანქცია უნდა იყოს ალბათ უფრო მკაცრი, რომ გადამარწმუნებელი ეფექტი ჰქონდეს. ჩვენ გვინდა, რომ ფსევდოტრადიციები, რომლებიც ბავშვზე, 10-11-13 წლის გოგონაზე ძალადობას გულისხმობს და რომლებიც ზოგიერთ თემებში დღემდე ხორციელდება - აღარ იყოს. გვინდა, რომ პატარა გოგონები დავიცვათ ზრდასრული კაცების მხრიდან ძალადობისგან. ჩვენ ასევე გვინდა, რომ არსებობდეს მონიტორინგის კარგი მექანიზმი, იმიტომ, რომ ერთია შემოვიტანოთ კარგი ნორმები, მაგრამ მეორეა ამ კარგი ნორმების იმპლემენტაცია. ჩვენ როდესაც ამ კონვენციის რატიფიკაციას მოვახდენთ, მინდა ყველა ქალს საქართველოში სჯეროდეს, რომ მისი უფლებები დაცულია” - განაცხადა წულუკიანმა.

“ვაზისა და ღვინის შესახებ” კანონში ცვლილებები შედის

“ვაზისა და ღვინის შესახებ” კანონში ცვლილებები ხორციელდება. პარლამენტში განსახილველად წარდგენილი პროექტის მიხედვით, გაიმიჯნა ვაზის სამეწარმეო ჯიშები და მათი კლასიფიკაცია; შეიცვალა “მევენახეობის ზონების და ქვეზონების ჩამონათვალი”, სადაც მევენახეობის თითოეულ ისტორიულ ადგილს ეწოდა ზონა, მიუხედავად მათი ფართობისა; დადგინდა ყურძნის გადამუშავებისა და ექსპორტისას გასათვალისწინებელი სერტიფიცირების წესები და მოთხოვნები; აისახა ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ქართული ღვინის წარმოებისა და ექსპორტისას დადგენილი ძირითადი მოთხოვნები და დადგინდა შიდა ბაზარზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი პროდუქციის სერტიფიცირებისათვის საჭირო წესი.

როგორც საკითხის განხილვისას პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ლევან დავითაშვილმა განაცხადა, ვინაიდან, ქვევრში ღვინის დაყენების ქართული მეთოდი UNESCO არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში მოხვდა და ამავდროულად, ქვევრის ღვინისა და ქართული ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინოების პოპულარობა ყოველდღიურად იზრდება, კლასიფიკაციას დაემატა “ქვევრის ღვინის” კატეგორია. გარდა ამისა, შემოვიდა “ქარვისფერი” ღვინის და ცქრიალა ღვინის კატეგორიები.

ცვლილებით დადგინდა ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელის 4 პროდუქტი: ბრენდი, ჭაჭის არაყი, ყურძნის არაყი და მაგარი სასმელი. განიმარტა ნეიტრალური (რექტიფიცირებული) სპირტი, რომლის გამოყენებაც ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელების წარმოებისას (გარდა მაგარი სასმელისა) დაუშვებელია.

კანონპროექტით განისაზღვრა ბრენდის კატეგორიები დავარგების ასაკის მიხედვით, კერძოდ ჩამოყალიბდეს ღვინის ბრენდის შემდეგი კატეგორიები: ახალგაზრდა ღვინის ბრენდი, დავარგებული ღვინის ბრენდი, ღვინის ბრენდი ძველი, ღვინის ბრენდი ძალიან ძველი.

ვინაიდან კანონის მოქმედი რედაქცია მხოლოდ საქართველოში წარმოებული ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელის ეტიკეტირების წესს ადგენდა, ცვლილებების პროექტმა გაითვალისწინა OIV-ის, ევროკავშირისა და ჭჭთჩ-ის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული წესი და განსაზღვრა პროდუქციის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული ნორმები.

პროექტით განისაზღვრა ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელის ეტიკეტირების წესი. ცვლილება შევიდა კანონის იმ მუხლებში, რომლითაც რეგულირდება ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელების ექსპორტთან, იმპორტთან, ადგილობრივ ბაზარზე განთავსებასთან, სერტიფიცირებასთან და ინსპექტირებასთან დაკავშირებული საკითხები.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ განაცხადა, ცვლილებების ინიცირება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ქვეყნის ისტორიულად, კულტურულად და ეკონომიკურად პრიორიტეტული დარგის განვითარებას, ადგილობრივი მრავალსაუკუნოვანი ქართული ვაზის ჯიშების, მეღვინეობის ქართული ტრადიციული მეთოდების გავრცელებასა და პოპულარიზაციას, მაღალხარისხიანი ყურძნის, ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებასა და რეალიზაციას, საქართველოში ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარებას, ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო რეპუტაციის შენარჩუნებასა და ზრდას.

გარდა ამისა, ცვლილბები შედის “საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში”, რომლის მიხედვით, სამომხმარებლო ტარაში დაფასოების გარეშე სამომხმარებლო ბაზარზე ბრენდის ან დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის რეალიზაცია გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორების შემთხვევაში დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2015 წლის 16 ივნისს გამოცხადდა კონკურსი შემდეგ ვაკანსიებზე:

1. გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტი სოფელ გამარჯვების ადმინისტრაციულ ერთეულში, 1 (ერთი) შტატი

2. საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში

3. ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი არქმშენინსპექციის, ადგილობრივი გადასახადებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების საკითხებში

4. გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურეობის და საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში.

5. სოფელ ოზაანის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი.

6. სოფელ ზემო ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი.

7. სოფელ სამთაწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი.

ასევე 2015 წლის 1 ივლისამდე ტარდება ატესტაცია მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში იმ მოხელეთა მიმართ, რომელთა თანამდებობაზე დანიშვნიდან გასულია 6 თვე. ატესტაციას დაქვემდებარებული არის 16 მოხელე, აქედან 11 გამგეობაში და 5 საკრებულოში.

ტესტირება დანიშნულია მიმდინარე წლის 30 ივნისს ქ. თბილისში. ტესტირებას ატარებს იუსტიციის სასწავლო ცენტრი.

თბილისი, სტიქია და საქართველო

(პირველი გვერდიდან)

თავშესაფრის 15-მდე ბინადარი დაიღუპა, ამჯერად 450 ძაღლიდან სტიქიას მხოლოდ 100-მდე გადაურჩა.

ძაღლების პრობლემის გარდა, 14 ივნისს თბილისი მტაცებელი ცხოველების პრობლემამაც შეაძრწუნა. შინაგან საქმეთა სამინისტრო კვირას, დილიდან მოუწოდებდა მოქალაქეებს, რომ თავი შეეკავებინათ თბილისის ქუჩებში გადაადგილებისგან, რადგანაც ისინი შესაძლოა მტაცებელ ცხოველებს გადაყროდნენ. ასეთი მოწოდება 14 ივნისს დედაქალაქის მერისგანაც გაისმა. დავით ნარმანიამ თავის კომენტარში სახიფათო ზონის კონტურებიც მოხაზა:

„ჯერ კიდევ ბოლომდე არ არიან დაჭერილი ის ცხოველები, რომლებიც ზოოპარკიდან გავიდნენ. მე მინდა მოსახლეობას ვთხოვო, თავი შეიკავონ ქალაქში მოძრაობისგან. განსაკუთრებით, ნაკვალევები არის დაფიქსირებული კუს ტბისა და ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე საბურთალოსა და ვაკის ნაწილში. განსაკუთრებით ამ ტერიტორიებზე შეიკავონ თავი.“

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ხალხს ქალაქში გადაადგილებისგან თავის შეკავებას ურჩევდა, თბილისი ტრაგედიას მაინც ვერ ასცდა. „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ საწყობში დამალულმა ალბინოსმა ვეფხვმა 43 წლის ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე შეიწირა.

თავდაპირველად 6 ვეფხვს, 6 ლომს, 7 დათვსა და 13 მგელს ეძებდნენ, თუმცა ეს მაჩვენებლები თანდათან შემცირდა: ზოგი იპოვეს, ზოგი კვლავ ზოოპარკში გადაყვანის მიზნით დააძინეს, ხოლო ზოგიც — მოკლეს. ცხოველების ლიკვიდაციის ამბავი, რომელიც მკაცრად დაგმო საზოგადოების ძალიან დიდმა ნაწილმა (და ეს ფეისბუკშიც აშკარად გამოვლინდა), დაადასტურა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. უწყების ვებსაიტზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ საჭირო გახდა რამდენიმე ცხოველის ლიკვიდაცია. დღემდე ეძებენ ერთ ვეფხვსა და ზოლებიან აფთარს.

ვიდრე თბილისის ცენტრი ისევ დატბორილი და ჩახერგილია, ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებზე დავისგან თავს იკავებენ ოპონენტები. თუმცა 14 ივნისს დაზარალებულების მხრიდან არაერთხელ გაისმა ბრალდება იმის თაობაზე, რომ შეცდომით დაპროექტდა და აშენდა ვაკე-საბურთალოს გზისა და გმირთა მოედნის დამაკავშირებელი მაგისტრალი და რომ ეს შეცდომა საბედისწერო აღმოჩნდა.

თბილისის სტიქიით დაზარალებულებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიც დაეხმარა. მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებმა საკვები პროდუქტები, პირველადი დახმარების ნივთები და ტანსაცმელი შეაგროვეს, ასევე ფულადი თანხა (5000 ლარი). ჰუმანიტარულ აქციას მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა ორგანიზაციები და ადგილობრივი მოსახლეობაც შეუერთდა. პროცესში ჩართულები იყვნენ მუნიციპალიტეტის გამგეგელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი. მათი განცხადებით, თუ საჭიროება მოითხოვს, მსგავსი დახმარება კვლავ განხორციელდება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მადლობას უხდის ყველას, ვინც გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი თანამემამულეების გასაჭირი და შეძლებისდაგვარად დაეხმარა მათ. მათთვის კი, ვისაც კვლავ სურს დაეხმაროს სტიქიით დაზარალებულებს, ვაქვე ყნეგთ ანგარიშის ნომერს: GE27LB0010045017001717, მიმღები – ლიბერთი ბანკი.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

> ედიშერ ყიფიანის უბის წიგნაკიდან
> 1960 წლის 4 ივლისი
> „ტრაგედია დატრიალდა დღეს თბილისში.
> დილის 9 საათზე მოვიდა დიდი წვიმა, ადიდებულა მდინარე ვერე და მოგლეჯილი ხეებითა და ლოდებით ამოუვსია ვარაზისხევის ქუჩის ქვეშ გაყვანილი გვირაბი, შეგუბებულა წყალი და ამოუხრჩვია ზოოპარკი!
> როცა გალიაში მიწით დასილული და უძრავად მწოლიარე ვეფხვი დავინახე, კინაღამ ავტირდი. ყველა ლომი, ყველა ავაზა და ყველა ვეფხვი დაიხრჩო. წარმოვიდგინე, როგორ ებრძოდნენ წყალს, როგორ გაჰყვეს ნესტოები გალიის ჭერში, რკინებს შორის, ეს იყო მათი უკანასკნელი გაბრძოლება, მერე წყალმა გალიის ჭერიც დაფარა.
> ლომი, ლომი წყლით დამხრჩვალა იმიტომ, რომ დატყვევებული იყო, და არწივიც იმიტომ, რომ დატყვევებული იყო!
> თეთრი დათვები მუცელდაბერილები ეყარნენ ცემენტის ცივ იატაკზე. ალბათ როგორ ესიამოვნათ პირველად, როცა ზაფხულის ამ თბილ დილას წყალი შეუდგათ მუხლამდე, მაგრამ მერე? ალბათ ვცდები, ასე არ მოტყუვდებოდნენ, ალბათ, ყოველმა მხეცმა ინსტიქტით იგრძნო საშიშროება და დაიწყო ბრძოლა გალიებში, ისე თვალნათლივ ვიგრძენი ეს სურათი, რომ .... მაჟრჟოლებს ხოლმე,
> როგორ მენანება, როგორ მეცოდება მხეცები, იმიტომ რომ უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპნენ. რა მოულოდნელი იყო ალბათ ეს წყლის შემოტევა მათთვის, უფრო მოულოდნელი, ვიდრე ადამიანისათვის იქნებოდა, მხოლოდ ბეჰემოტმა შესძლო რკინის ფანჯრის გამომტვრევა და გათავისუფლება. იმ საღამოს იგი უძრავად იწვა საზაფხულო ვოლიერში და მძიმედ ქშინავდა ბრძოლაგადახდილი. როგორ მეცოდებიან ლომები, ვეფხვები და არწივი.
> ის ღრუბლები მოვიდნენ აფრიკიდან“.

ყველა საქმე, ერთად აღებული, ჩვენი ქვეყნის მომავალია

ზაფხულის თაკარა სიცხეში რედაქციიდან გავდივარ. გეზს საავადმყოფო-პოლიკლინილკური გაერთიანებისკენ ვიღებ და ექიმ ნინო საყვარელიძის კაბინეტისკენ მივეშურები. ქალბატონი ნინო ჩვეული ღიმილით მხვდება და სკამისკენ მითითებს, დაბრძანდიო. მის კუთვნილ ორ სამუშაო მაგიდაზე უამრავი საბუთი და საავადმყოფო ჩანაწერი ფურცლის გაშლილი, ჩანს ავადმყოფთა სიებს ჩაჰკირკიტებდა. ცხადია, ეს და კიდევ კარზე მომდგარი უამრავი პაციენტის მიღება, მისი სამუშაო პროცესია. საუბარს ბავშვობის გახსენებით ვიწყებთ.

– ქალბატონო ნინო, მომიყევით თქვენს ბავშვობაზე, სკოლის წლებზე.

– დავიბადე 1965 წლის 17 ნოემბერს ქალაქ თბილისში. დედა და მამა პროფესიით ორივე ინჟინრები იყვნენ. ბავშვობა ცხოვრების ყველაზე უდარდელ პერიოდად მახსენდება. საუკეთესო სკოლის წლები მქონდა, სანიმუშოდ ვსწავლობდი. მაშინ, მოგეხსენებათ, კომკავშირი იყო და თუ სადმე მონაწილეობა იყო სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებში და ტურებში არსად ვაკლდებოდი. მრავალჯერ ვიყავი დაჯილდოვებული, როგორც საუკეთესო მოსწავლე. მახსოვს, მაშინ ჩემზე სატელევიზიო გადაცემაც კი მომზადდა სახელწოდებით „გეზრდება მამულო საამაყო შვილი!“ რომელიც მთლიანად მე მომეძღვნა. საუკეთესო მოსწავლეობის გამო ერთ ზაფხიულს დამაჯილდოვეს ერთთვიანი საგზურით უკრაინაში. მახსენდება, თუ როგორ ჩავედით საქართველოს მასშტაბით წარჩინებული მოსწავლეებისგან შემდგარი ჯგუფი უკრაინაში და როგორ დავისვენეთ. ეს იყო ძალიან ლამაზი დღეები ჩემი ბავშვობიდან. უკრაინაში გვქონდა გასვლითი ღონისძიებები, ექსკურსიები. ძალიან კარგი და ბედნიერი დრო იყო.

– რაც შეეხება პროფესიას, ექიმობა თქვენი არჩევანი იყო?

– კი, სკოლის შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩავირიცხე, სამკურნალო ფაკულტეტზე. სხვა პროფესიაზე არც მიფიქრია, არც მიოცნებია არასოდეს და ჩემი სურვილის ასრულებას წინ ვერაფერი აღუდგებოდა, რადგან პირველივე წელს გამოცდები წარმატებით ჩავაბარე. 90-იან წლებში განაწილებით მოვხვდი დედოფლისწყაროს საავადმყოფოში, მანამდე სტუდენტობის წლებში გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე,იგი გახლავთ პროფესიით ინჟინერი ნოდარ ცხვედიაშვილი, რომელთანაც დავაკავშირე ჩემი მომავალი და ვფიქრობ, არც შევმცდარვარ, რადგან სიყვარულით შევქმენი ოჯახი.

– გვიამბეთ, როგორია დღევანდელი თქვენი ოჯახური მდგომარეობა?

– მყავს სამი შვილი, ორი ქალიშვილი, ერთი ვაჟი და ორი შვილიშვილი. უფროსი გოგონა, ქეთევანი დაოჯახებულია და ის დღეს ოკუპაციური თერაპევტია მარინა ინგოროყვას კლინიკაში. ვაჟი გიორგი ცხვედიაშვილი ასევე დაოჯახებულია, მან გეოფიზიკური დაამთავდა და სტუდენტობის წლებიდან აქტიურად ჩაერთო სამეცნიერო კვლევებში, დღეს ის გეოფიზიკის ინსტიტუტში მუშაობს. გახლავთ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტ „დელტას“ თანამშრომელი და პირადად ჩართულია კახეთის სეტყვის საწინააღმდეგო რადარების დამონტაჟების პროცესში. გიორგისგან მყავს ორი კვირის ანდრია, ხოლო ქეთევანისგან პატარა გოგო ნუცა. უმცროსი გოგონა, მარიამი ამჟამად ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტია. ვფიქრობ, შვილების მხრიდან ბედნიერი დედა ვარ.

– როგორია თქვენი სამუშაო გრაფიკი , გარდა ექიმი ნინო საყვარელიძისა, როგორია ის დიასახლისის ამპლუაში, არსებობს კიდევ რაიმე საქმე, რომელის კეთებაც სიამოვნებას განიჭებთ?

– ჩემი სამუშაო გრაფიკი ასეთია, ყოველი დღე, დილით ათი საათიდან ოთხ საათამდე სამსახურში ვატარებ, ვემსახურები უამრავ ადამიანს, ვითა-

ვისებ მათ ყოველ ტკივილს და რაც არ უნდა თავისებური ადამიანი შემობრძანდეს, ვცდილობ, ყველა კმაყოფილი წავიდეს ჩემი კაბინეტიდან. ადამიანებთან ურთიერთობა ხომ ერთმანეთისთვის სიხარულის მინიჭებით იწყება, შესაძლოა, ავადმყოფი ექიმთან საუბით და მისგან თბილი დამოკიდებულების მიღებით უკეთესად გახდეს. ხომ გაგიგონიათ, მედიკამენტის მიღებამდე ექიმის ენამ ავადმყოფი განკურნაო. რაც შეეხება როგორია ნინო ექიმი სახლში, ვარ ჩვეულებრივი დიასახლისი ქალი სოფელში. (უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალბატონი ნინო თბილისიდან ზემო მაჩხაანში გამოთხოვდა და დღემდე ამ სოფელში ცხოვრობს, რაც ერთიორად დასაფასებელია) ვაკეთებ ყველაფერს,რაც სოფლის პირობებს შეესაბამება. მყავს შინაური ფრინველი, მაქვს ბაღჩა, ვაცხობ პურს. ამას გარდა ვქსოვ, ვკერავ და თუ დრო მაქვს, ვხატავ კიდეც. ხატვა ჩემი ერთ-ერთი გატაცება იყო და დარჩა, რომელიც სიამოვნებას მანიჭებს.

– საინტერესოა, ძირითადად რა ჩივილებით გაქვთ მომართვიანობა პაციენტების მხრიდან და რა დაავადებები სჭარბობს ჩვენს რაიონში მცხოვრებ ადამიანებში?

– ყველანაირი ჩივილებით მოდიან. სამწუხაროდ, ხშირია სიმსივნური დაავადებების შემთხვევები, კენჭები, ფარისებრი ჯირკვალი, ხერხემლის და ზურგის ტკივილი. მსოფლიო მოიცვა ამ დაავადებებმა. არასასურველი ჰავა, კლიმატი და საკვები პროდუქტები, ეს ყველაფერი ზეგავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმში დაავადების კერების წარმოქმნაზე. აქედან გამომდინარე მომართვიანობა და ექიმთან ვიზიტები გაიზარდა.

– თქვენ ხართ ექიმი, რომელიც საკმაოდ მსხვილი სადაზღვეო კომპანიების, კერძოდ, „ალდაგი ბისიაის“, „პეესპეს“ წარმომადგენელი ოჯახის ექიმი ხართ, ძირითადად მოქალაქეთა რომელი კატეგორია სარგებლობს ამ დაზღვევით და როგორია მათი მომართვიანობა, თუ ხდება მათი დახმარება ადგილზე?

– ამ კონტიგენტს ძირითადად შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები შეადგენენ, ისინი მაღალი კლასის სადაზღვეოებით არიან უზრუნველყოფილნი. ესენია: „ალდაგის” და „პეესპეს” დაზღვეულები. მომართვიანობა მაღალია, მოგეხსენებათ ისინი ოჯახებით არიან დაზღვეულები და მათი დაზღვევა მეუღლეებზე და შვილებზეც ვრცელდება, ამიტომ მომართვიანობა ოჯახის წევრებისგან უფრო მაღალია. როგორც ოჯახის ექიმი, მე ვწერ მიმართვას, შემდეგ მიდიან სპეციალისტ ექიმთან კონსულტაციაზე და როდესაც ექიმი უწერთ მედიკამენტს, მედიკამენტის ფასდაკლების რეცეპტის გაცემას ასევე მე უზრუნველვჰყოფ სპეციალური ბარათით. ადრე არ იყო ჩვენს რაიონში ისეთი აფთიაქი, რომელთანაც სადაზღვეო კომპანიებს ხელშეკრულება ექნებოდათ დადებული, ამიტომ მოქალაქეები წვალობდნენ და წნორის აფთიაქებში მიდიოდნენ. უკვე წლებია, ჩვენს რაიონში კარგად მუშაობს „პეესპეს” აფთიაქი, სადაც სადაზღვეოს პაციენტებს ფასდაკლებით შეუძლიათ შეიძინონ მედიკამენტები, რაც ერთგვარი შვებაა, როგორც ექიმისთვის, ასევე პაციენტისთვის.

– არის შემთხვევები, როდესაც პოლისის მქონე მოქალაქეს სპეციალისტი ექიმი უნიშნავს მედიკამენტს, რომელზეც ფასდაკლების რეცეპტი ვერ დაიწეროს და ამა თუ იმ მედიკამენტზე სადაზღვეო ფასდაკლება ვერ განახორციელდეს, ამის რეგულირება როგორ ხდება?

– მედიკამენტის რეგისტრაციას ადგენს ჯანდაცვის სამინისტრო და ამის მიხედვით ხდება განსაზღვრა. მთავარი კრიტერიუმი გახლავთ მედიკამენტის რეგისტრაცია, თუ ესა თუ ის მედიკამენტი რეგისტრირებული არაა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, მაშინ მასზე მე, როგორც ოჯახის ექიმს, სადაზღვეო პაკეტის მფლობელ პაციენტზე ფასდაკლების რეცეპტის გაცემის უფლება არ მაქვს. ეს ყველაფერი ჯანდაცვის სამინისტროს საიტზე დევს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს.

– რაც შეეხება საყოველთაო დაზღვევას, რას ითვალისწინებს საყოველთაო დაზღვევა?

– საყოველთაო დაზღვევა იყოფა რამდენიმე პაკეტად, სოციალურ ჯგუფებადაა დაყოფილი პეციენტები ასაკობრივი და სხვა თვალსაზრისით. არსებობს საყოველთაო დაზღვევა 0-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. არსებობს 65 წლის ზევით, არის კიდევ უმწეოთა კატეგორია და სამ ჯგუფში ვინც არ შედის, ის გახლავთ საყოველთაოდ დაზღვეული. საყოველთაო დაზღვევა კიდევ იყოფა ორ ჯგუფად: მინიმალური და საბაზისო. ოჯახის ექიმის კონსულტაცია ყველას უფასო აქვს, ხოლო სპეციალისტთან კონსულტაცია 70 %-იანი თანადაფინანსების მექანიზმით. ასეთივე თანადაფინანსებითაა გაკეთებული უამრავი ოპერაცია, რომელიც სადაზღვეო კომპანიების და ჯანმრთელობის სამინისტროს უშუალო დაფინანსებით გაიკეთეს მოქალაქეებმა, განსაკუთრებით მოხშირდა ფეხის ბარძაყის მენჯის ძვლის ოპერაციები.

– ექიმობა ერთ-ერთ ყველაზე რთულ და პრესტიჟულ პროფესიად ითვლება, როგორია დღეს მედიკოსის ხელფასი და მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენი პროფესია საკადრისად დაფასებულია?

– ვთვლი, რომ ადვილი პროფესია არ არსებობს, ყველა პროფესია რთულია, ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს ის პროფესიით, უნდა იდგეს განვითარების მაღალ საფეხურზე. მას უნდა ჰქონდეს მუდმივი განვითეარების და მუდმივი სიახლის მიღების სურვილი. ყველა ადამიანმა თავისი საქმე უნდა აკეთოს ხარისხიანად და პროფესიონალურ დონეზე. ყველას თავისი საქმე უნდა უყვარდეს. რაც შეეხება ანაზღაურებას, არსებობენ კარგად ანაზღაურებადი სამსახურები და არსებობენ ნაკლებად ანაზრაურებადი სამსახურები, ვთვლი, რომ ოჯახის ექიმის ანაზრაურება ნამდვილად არ შეესაბამება ისეთ საფასურს, როგორსაც ვიმსახურებთ, მაგრამ დათმენა გვმართებს, როცა ჩვენ ამ ქვეყანაში ცხოვრება ავირჩიეთ და ჩვენი ქვეყნის პატრიოტები ვართ, ის გაჭირვებებიც ერთად უნდა გადავლახოთ ყველა პროფესიის ადამიანმა, რასაც მთლიანად ქვეყანა გადის. რაც არ უნდა იყოს, ჩვენ მაინც ქალები ვართ, დედები და ბოლომდე ჩვენზე არაა დაყრდნობილი ოჯახი. მე განსაკუთრებით მესმის მამაკაცი ექიმების, რომელთა ხვედრი უფრო მძიმეა, რადგან მხოლოდ ექიმობით ოჯახის შენახვა და თანაც არ უღალატო შენს საქმეს და იყო ექიმის მოწოდების სიმაღლეზე, ცოტა რთულია. ექიმი ქალისთვის ეს კიდევ შედარებით ადვილად ასატანია, რადგან მას გვერდით მეუღლე უდგას, რომელზეც გადადის ძირითადად ის ტვირთი და პასუხისმგებლობა, რასაც ოჯახის მართვა ჰქვია.

– მოკლედ ახსენით, რა არის ცხოვრება?

– ჩემთვის ცხოვრება არის ჩემი ოჯახი, ჩემი შვილები და ჩემი პროფესია.

– ქალბატონო ნინო, როგორ ფიქრობთ, რა არის ქალის ბედნიერებისთვის საჭირო?

– ყველაზე კარგი ქალისთვის მთავარი კარგი მეგობარი მეუღლე და ჰარმონიული ოჯახია. გარდა ამისა, ერთ მნიშვნელოვან დეტალსაც შევეხები, ქალს ბედნიერებისთვის მუდმივად უნდა ჰქონდეს თვითრეალიზაციის შესაძლებლობა, უნდა ჰქონდეს შეგრძნება, რომ ის ქვეყანას, საზოგადოებას, გარშემომყოფებს თავისი საქმით ადგება და ერთ პატარა აგურს დებს ქვეყნის მშენებლობის საქმეში.

– როგორ შეფასებას მისცემდით ქვეყანაში დღეს არსებულ მდგომარეობას?

– ვთვლი, რომ ჩვენს ქვეყანას რთული პერიოდი უდგას, სირთულე ერთნაირად ნაწილდება, როგორც ხელისუფალზე, ასევე რიგით ადამიანებზე. მე მიმაჩნია, რომ ყველამ უნდა გააცნობიეროს საარსებო არეალში თავისი პასუხისმგებლობა და თავისი საქმე პეტიოსნად და პირნათლად შეასრულოს. არ აქვს მნიშვნელობა, რას აკეთებს ადამიანი,- შვილს ზრდის, მოსწავლეს ასწავლის, სტატას წერს, ხეს რგავს, ხორბალს თესავს, მიწას ხნავს, თუ ქადაგებს, მთავარია კარგად გააკეთოს თავისი საკეთებელი. აბა, წარმოიდგინეთ, ექიმის კარგად ნამკურნალევი, კარგად გაზრდილი შვილი, კარგად დარგული ხე, კარგად დაწერილი წერილი, პედაგოგის მიერ კარად აღზრდილი მოწაფე, მოძღვრის კარგი ქადაგება, ფერმერის კარგად დათესილი და მოყვანილი მოსავალი, ყველა საქმე, ერთად აღებული, ჩვენი ქვეყნის მომავალია, რომელიც, თუ ხარისხიანად ვაკეთეთ აუცილებლად გამოჩნდება და ნამდვილად ეშველება ქვეყანას.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ არ ვარ წარმოშობით დედოფლისწყაროელი, მინდა ხმამაღლა განვაცხადო, მე მიყვარს ეს რაიონი, სადაც უკვე ათეული წლებია ვმოღვაწეობ და ამაყი ვარ, რომ ჩემს წილ აგურს ვდებ ამ რაიონის კეთილდღეობის საქმეში. აქვე უნდა გამოგიტყდეთ, რომ ძალიან შემტკივა გული ყველაფერ იმაზე, რაც ამ რაიონს შეეხება. შემტკივა გული იმაზე, რომ უკეთესი ცხოვრება იყოს, რომ სოფლები, რომელიც იცლება ახალგაზრდებისგან, აღარ დაიცალოს, რომ ადამაინებს აღარ გაუჭირდეთ და აღარ იყვნენ უმწეოები ქვეყანაში. ვისურვებდი, მალე ყველაფერი გამოსწორებულიყოს. სოფლებში და რეგიონებში ისე განვითარებულიყოს სერვისცენტრები, რომ ახალგაზრდობას თითქმის თანაბარი პირობები ჰქონოდეთ ქალაქსა თუ სოფლად. სწორედ მაშინ დადგება დრო, როდესაც სოფლიდან ქალაქში მიგრაციის მძიმე სენს თავიდან მოვიშორებთ.

ლალი მეხრიშვილი

დილემა: სკოლაში თუ სახლში?!

რამდენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეა და როგორ მიმდინარეობს სიღნაღისა და დედოფლისწყაროს სკოლებში ბავშვთა ინკლუზიური განათლების პროგრამა. ამ თემაზე ინკლუზიური განათლების სამმართველომ დედოფლისწყაროში, სოფელ ხორნაბუჯის სკოლაში სიღნაღისა და დედოფლისწყაროს საჯარო სკოლების დირექტორებისა და სპეცპედაგოგებისთვის კონფერენცია გამართა.

ორივე რაიონის სკოლებმა გასული სასწავლო წლის შედეგებზე, მიღწევებზე და ხარვეზებზე ისაუბრეს და ერთმანეთს გამოცდილებები გაუზიარეს. შეხვედრას თელავიდან კახეთის მულტიდისციპლინური გუნდის წევრები და თბილისიდან მასწავლებლის სახლის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ეთერ ზურიკაშვილი** აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე დედოფლისწყაროში 50-ზე მეტი შშმ მოზარდი ინკლუზიური განათლების პროგრამაში უკვე ჩართულია. ამას გარდა, კიდევ რამდენიმე განაცხადია რეგისტრირებული, რომელთა მდგომარეობის განხილვა ახლა მიმდინარეობს.

„დედოფლისწყაროს რვა საჯარო სკოლაში უკვე აქტიურად მიმდინარეობს ინკლუზიური სწავლება. სპეცპედაგოგები გადამზადებულნი არიან, ზოგიერთს ამ სფეროში მუშაობის გამოცდილებაც აქვს. სხვა სკოლებშიც ფიქსირდება ბავშვთა განაცხადები და ველოდებით კომისიის შეფასებას. პროცედურის მიხედვით, ჯერ სპეციალისტებმა უნდა შეაფასონ ბავშვის მდგომარეობა და საჭიროებები და მათი დასკვნის შემდეგ სკოლამ ჩართოს პროგრამაში.

უკვე ორი წელია სკოლებში ასეთი ბავშვების აღრიცხვა და პროგრამაში ჩართვა ხდება. პრიორიტეტი ამ პროგრამას მიენიჭა, რადგან, აუცილებელია ბავშვი ჩვეულებრივ სასწავლო გარემოში იზრდებოდეს და არა განცალკევებით. ზოგადი განათლების შესახებ კანონში მითითებულია, რომ ყველა ადამიანმა უნდა მიიღოს ზოგადი განათლება და გამოიყენოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში," – ამბობს ეთერ ზურიკაშვილი.

როგორც ინკლუზიური განათლების სამმართველოს წარმომადგენელმა **თამარ ისაკაძემ** გაზეთ „შირაქს" განუცხადა, ყველა სკოლაში, სადაც სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეა რეგისტრირებული, იქ ერთი სპეცპედაგოგის შტატი ემატება, რომელიც სკოლაში ასეთი მოსწავლეებისთვის ქმნის ე.წ რესურსოთახს და მათი ადაპტაციისთვის განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო აქტივობების მათზე მორგებას.

„სკოლებში სპეცპედაგოგების დანიშვნა 2013 წლიდან გახდა ჩვენი პრიორიტეტი. ეს არის განათლების სამინისტროს ახალი ინიციატივა, რომლის თანახმად, ყველა სკოლაში, სადაც რეგისტრირებულია თუნდაც ერთი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე, მუშაობს სპეცპედაგოგი, ან ფსიქოლოგი. ხოლო, სადაც ექვსიდან თორმეტამდე მოსწავლეა, ორი სპეცპედაგოგი მუშაობს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოვისმინოთ მათი წარმატებების შესახებ და აქ ამიტომ შევიკრიბეთ. მასწავლებლები პერიოდულად სპეციალურ ტრენინგებს გადიან, სადაც კომპეტენციებს ინვითარებენ. ვფიქრობთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ერთმანეთს გაუზიარონ, თუ როგორ დანერგეს პრაქტიკაში ჩვენი რეკომენდაციები," – აღნიშნავს თამარ ისაკაძე.

„პირველი სარაიონთაშორისო კონფერენცია ჩატარდა ქიზიყში, რომელიც ორ რაიონს აერთიანებს. ბავშვების ძალიან დიდი რაოდენობაა, რომელთა შეფასებაც უკვე მოხდა და მათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების სტატუსი მიენიჭათ.

ხორციელდება სპეციალურად მათთის გათვალისწინებული აქტივობები, რომლებიც აკადემიურ უნარებთან ერთად მათ სოციალურ უნარებს განავითარებს. ყველა სკოლაში მოეწყო შესაბამისი ოთახები, სადაც არ გვაქვს, უკვე მიმდინარეობს მზადება.

სკოლებს მივეცით რეკომენდაცია, რომ საზაფხულო არდადაგების პერიოდი გამოიყენონ იმისათვის, რომ რესურსოთახის მოსაწყობად სარემონტო სამუშაოები დროულად დასრულდეს და ახალი სასწავლო წლისთვის მოესწროს კაბინეტის ამოქმედება," – გვითხრა კახეთის მულტიდისციპლინური გუნდის წარმომადგენელმა **თამარ ტუხაშვილმა.**

ლალი იაკობიშვილი **(დედოფლისწყაროს №2 სკოლის დირექტორი):** „ჩვენი სკოლა ინკლუზიური განათლების პროგრამაში 2014 წლიდან ჩაერთო. ამჟამად 4 მოსწავლეა რეგისტრირებული, გვყავს საკმაოდ გამოცდილი სპეცპედაგოგი, რომელიც თბილისში მუშაობდა და სპეციალურად ამ პროგრამისთვის ჩამოვიდა. კარგ მდგომარეობაში გვაქვს პროგრამით გათვალისწინებული რესურსოთახი და ვფიქრობ, პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს. კიდევ არის შემოსული ორი განაცხადი, რომელსაც კახეთის მულტიდისციპლინური გუნდი სწავლობს, სავარაუდოდ ახალი სასწავლო წლიდან ამ ორი მოსწავლის შეფასება და საჭიროებების განსაზღვრა მოხდება და ისინიც ჩაერთვებიან პროგრამაში".

დადებითი შედეგები აქვს თითქმის ყველა სპეცპედაგოგს, რომელთაც თანმიმდევრულად ისაუბრეს.

მათ მიერ კონფერენციაზე წარმოდგენილ წლიურ ანგარიშში ჩანდა, რომ სასწავლო წლის ბოლოს შშმ ბავშვებს, რომელთა უმრავლესობას ფერეგის აღქმის, თვლის, წინადადების გამოთქმის, წერის და ამგვარი პრობლემები ჰქონდა, მცირედით, მაგრამ შედეგი უკვე აქვთ და მათი ძალისხმევით, ზოგიერთი უნარი გაიუმჯობესეს.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, სიღნაღის ერთ-ერთ სკოლაში რეგისტრირებული შშმ მოსწავლის მშობელმა ბავშვისთვის სტატუსის გაუქმება და პროგრამიდან გათიშვა მოითხოვა. როგორც პროგრამის წარმომადგენლებმა თქვეს, მათ ძალისხმევა არ დაიშურეს, რომ მშობელი პროგრამის აუცილებლობასა და პროგრამიდან გასვლის უარყოფით მხარეებში დაერწმუნებინათ, თუმცა უშედეგოდ. მშობლები მაინც ვერაფრით დაითანხმეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, განათლების გარეშე დატოვების მიზეზი საზოგადოებაში არსებული სტიგმაა. „არ მინდა ამბობდნენ, რომ ჩემი შვილი „დეგილების" კლასში დადის" – იყო მათი არგუმენტი.

მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდს განათლების და პერსპექტივის გარეშე ტოვებს, მშობელს ურჩევნია შვილი სახლში დასვას, ვიდრე ის საზოგადოების ქილიკის ობიექტი გახდეს.

ინკლუზიური სწავლების პროგრამის მთავარი არსი სწორედ ისაა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდები ჩვეულებრივ სკოლებში, საზოგადოებასთან ერთად იზრდებოდნენ და არა განცალკევებით, სპეციალურ დაწესებულებებში. ამიტომაც გადაწყდა, თუნდაც თითო ბავშვი დარეგისტრირდეს, მაინც დაიქირავოს სკოლამ სპეცპედაგოგი და სპეციალურ სწავლებაში ჩართოს. თუმცა, როგორც ჩანს, პროგრამის მიმდინარეობა ცხადყოფს, რომ საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მზად, მიიღოს შეზღუდული შესაძლებლობების პატარები.

ამავეს ამტკიცებდა თბილისიდან დედოფლისწყაროში ჩამოსული „მასწავლებლის სახლის" ტრენერი, ჟანა კვაჭაძე რომელიც ამბობს: „არსებობენ მშობლები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათმა შვილმა არ უნდა ითამაშოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან და მათთან მიახლოებას უკრძალავენ... სამწუხაროდ, ამგვარ შემთხვევებს ხშირად ვხვდებით. ჩვენც, როდესაც ვაპირებდით ამ პროგრამის ფარგლებში კლასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე შეგვეყვანა, მშობლებს ვუთანხმდებოდით, ჰქონდათ თუ არა სურვილი და ბედნიერები ვიყავით, როცა მათგან წინააღმდეგობას არ ჰქონდა ადგილი.

ილია მარტყოფლიშვილი

შთაბეჭდილება, რომელიც დიდხანს გაგვყვება!

„11 ივნისს დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში გიწვევთ კლასიკური მუსიკის კონცერტზე. უკრავს ი.ს. ბახის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი მალვინა ისმაილოვა, პედაგოგი თამილა ნადირაშვილი“ - იუწყებოდა ერთი უბრალო, მოკრძალებული ფორმატის მოწვევი ბარათი, რომელიც რედაქციაში მოვიდა. სიამოვნებით მივიღე მიწვევა, რადგან ვიცოდი, რომ ორი უნიჭიერესი მუსიკოსის - მასწავლებლის და მოსწავლის კონცერტი ორიგინალური და მაღალი დონის იქნებოდა. ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 1998 წლის 7 ოქტომბერი, როდესაც რაიონის გაერთიანებული პროფკავშირის საკოორდინაციო საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის ნანა ჭიჭინაძის ინიციატივითა და ორგანიზებით სამუსიკო სკოლის პედაგოგის თამილა ნადირაშვილის ბენეფისი გაიმართა. გადაჭედილ დარბაზში სუნთქვას გაიგონებდით. მაშინ თამილამ პირველი ფურორი მოახდინა. ეს თამილასთან ჩემი პირველი შეხვედრა იყო. მას მერე ბევრმა კონცერტმა აჩვენა მისი დიდი ნიჭი და შრომისმოყვარეობა. ერთხანს ადმინისტრაციულ ნაწილშიც სცადა თავისი შესაძლებლობები - სამუსიკო სკოლის დირექტორის თანამდებობა ეკავა და არცთუ ურიგოდ უძღვებოდა საქმეს. მაგრამ მერე, როგორც ცხოვრებაში არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე, მას თანამდებობა დაატოვებინეს. მოხდა რეორგანიზაცია და, სამუსიკო სკოლა და სამხატვრო სკოლა გაერთიანდა და ერთი ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში მოექცა. დირექტორად, რატომღაც, თამილა აღარ აირჩიეს. მერე საქმემ აჩვენა, რომ ეს ნაბიჯი, მაინცდამაინც, პერსპექტიული არ გამოდგა და ეს ორი მონათესავე, მაგრამ სრულიად სხვადასხვა პროფილის დარგი ისევ გაიყო. ასე დარჩა ორიოდ ბავშვის მასწავლებლად პედაგოგი, რომელმაც კონსერვატორიაც და ასპირანტურაც წითელ დიპლომზე დაამთავრა, რომელიც 1989 წლიდან ამ სკოლაში წარმატებულად მოღვაწეობდა და ისეთი მუსიკოსების მხარდამხარ იწრთობოდა, როგორებიც არიან ჩვენი სასიქადულო ლადო ათანელიშვილი, მარიამ კიკილაშვილი, დალი ელისაშვილი. მისი ნიჭიერების შესახებ კონსერვატორიიდანვე იცოდნენ მისმა ლექტორ მასწავლებლებმა. ამიტომ ის მედეა ფანიაშვილის სახ.სამუსიკო პედაგოგიურ ინსტიტუტში მუსიკის პედაგოგად მიიწვიეს და ერთხანს თამილა იქ მოღვაწეობდა. დღეს მას სამუსიკო სკოლაში 1 მოსწავლე ჰყავს, პარალელურად კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურში მუსიკალურ ხელმძღვანელად მუშაობს.

მისი ქალიშვილი ნინო თბილისის ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე ინტერიერის და ექსტერიერის დიზაინს ეუფლება. ის მეორე კურსს ასრულებს. წინ ისევ სტუდენტობის წლებია, თამილას შემოსავალი კი არც მის სოციალურ და არც გონებრივ შესაძლებლობებს არ შეესაბამება, რაზეც, მე პირადად, გული ძალიან მწყდება. მადლობა ღმერთს, მათ ბევრი გულისხმიერი ახლობელი ჰყავთ, რომლებიც მზრუნველობას არ აკლებენ. ეს ლირიკული გადახვევა ჩემი სუბიექტური, და არა მხოლოდ ჩემი, დამოკიდებულებაა მის მიმართ. ამიტომაც გვერდი ვერ ავუარე ბედის ირონიას.

ახლა კი დავუბრუნდეთ უშაულოდ კონცერტს, რომელმაც ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე, რომ, ეჭვი არ მეპარება, ყველას დიდხანს, დიდხანს გაჰყვება სასაიამოვნო მოგონებად.

პროგრამა, რომელიც მოსწავლემ და მასწავლებელმა წარმოადგინეს, უაღრესად საინტერესოდ იყო აგებული. კონცერტი თავად თამილა ნადირაშვილს მიჰყავდა. მან დასაწყისში ზოგადად კულტურის და, კონკრეტულად, მუსიკის დიდ ძალასა და როლზე გაამახვილა ყურადღება და თავისი ნააზრევის დასამოწმებლად მრავალი მსოფლიო დონის მოაზროვნის გამონათქვამი გააცნო დამსწრეთ: „მე ჩემს მწუხარებას გამოვხატავ ხოლმე მუსიკაში. ბეთჰოვენი და მოცარტი ხშირად იყვნენ ჩემი გულის მესაიდუმლენი“– ამბობდა ონორე დე ბალზაკი, „მუსიკის მოსმენის შემდეგ მე ყოველთვის უკეთ ვმუშაობ“- აღიარებდა ლევ ტოლსტოი. „ვერცერთი გასართობი ვერ შეედრება მუსიკას.. ხოლო ის, ვისაც მუსიკა არ უყვარს, შეიძლება შევადაროთ ხის ნაჭერს ან ქვას“- ფიქრობდა გუსტავ მალერი. „ „მუსიკალური განათლება, ფიზიკურ განვითარებასთან ერთად, ქმნის ვაჟკაცურ მოხდენილობას და მოხდენილ ვაჟკაცობას“- აკეთებდა დასკვნას არისტოტელე. მართლაც რომ, მუსიკა ერთადერთი ხელოვნებაა, რომელთანაც არსებობის პირველი დღიდანვე ვართ დაკავშირებული. ამის საუკეთესო მაგალითია დედის ტკბილი „ნანა“. მთელი ჩვენი ცხოვრება, სიყრმიდან მოყოლებული სიბერემდე, მუსიკითაა გამსჭვალული. ბავშვობა წარმოუდგენელია სიმღერისა და ცეკვა-თამაშის გარეშე. უმუსიკოდ არ ტარდება მეგობართა არც ერთი მხიარული შეხვედრა, საოჯახო დღესასწაული თუ საზოგადოებრივი თავშეყრა. თვით გარდაცვლილსაც კი საუკუნო განსასვენებელი ადგილისაკენ სევდიანი, სამგლოვიარო მუსიკით აცილებენ. ადამიანი საზოგადოების ერთ-ერთი წევრია, მაგრამ ამავე დროს იგი არის პიროვნება გამორჩეული თავისი ხასიათით, ტემპერამენტით, მისწრაფებებით, ესთეთიკურ-მხატვრული ინტერესებით. მუსიკა, სხვა ხელოვნებებთან ერთად, ამდიდრებს ადამიანს ზნეობრივად, ემოციურად, რაც განსაკუთრებით საჭიროა ჩვენს დროში, „გრძნობების დეფიციტის “, ტექნიკის გრანდიოზული განვითარების პირობებში.

კლასიკური მუსიკა კი გამორჩეული გემოვნების მსმენელს მოითხოვს. სწორედ ასეთ მსმენელს მოეყარა თავი იმ დღეს სამუსიკო სკოლის დარბაზში , სადაც სულგანაბულნი უსმენდნენ ღვთაებრივ მუსიკას და მქუხარე ოვაციებით გამოხატავდნენ შემსრულებელთა მაღალ ოსტატობას.

კონცერტი XVIII საუკუნის გენიალური გერმანული კომპოზიტორის სებასტიან ბახის ნაწარმობებით გაისხნა. „ბახი“ გერმანულად „ნაკადულს“ ნიშნავს, სწორედ ამიტომ თქვა დიდმა ბეთჰოვენმა: „ნაკადული კი არა, ზღვა უნდა იყოს მისი სახელიო“. ბახი ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიამ და „მთვარის სონატამ - შეცვალა, ბეთჰოვენის, რომლის მნიშვნელობა მუსიკაში არანაკლებია, ვიდრე შექპირის-ლიტერატურაში. შემდეგი, რომლის ნაწარმობებესაც მსმენელი გაეცნო, წარმოშობით ფრანგი, გულით პოლონელი და ნიჭით მთელი მსოფლიოს მოქალაქე ფრედერიკ შოპენი გახლდათ, რომლის შესახებაც შუმანმა თქვა:“ ქუდები მოიხადეთ, ბატონებო, თქვენს წინაშე გენიოსია“

კონცერტის პროგრამაში შედიოდა გენიალური უნგრელი კომპოზიტორის და პიანისტის ფერენც ლისტის, გერმანელი მუსიკოსის ბრამსის, ფრანგი კომპოზიტორის ფრანსის ულენკის, იმპრესიონიზმის ფუძემდებლის კლოდ დებიუსის და სხვათა ნაწარმოებები. საშემსრულებლო ოსტატობის მაღალი დონით აღფრთოვანებული მსმენელი აპლოდისმენტებს არ იშურებს და ოვაციით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ნიჭიერი პედაგოგის და უნიჭიერესი მოწაფის მიმართ.

მალვინა ისმაილოვა ერთი კა-

ფანდარა, პატარა გოგონაა, რომელიც ჯერ მხოლოდ 14 წლისაა. ის დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის მე-8 კლასის საუკეთესო მოსწავლეა. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული გოგონა აქტიურია კლასგარეშე და სკოლისგარეშე საქმიანობაშიც. მუსიკა კი მისი სტიქიაა. ის აქ თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. ექვსი წლის მანძილზე პედაგოგ ნინო ლაპიაშვილთან ერთად დაუღალავი შრომის შედეგად, მან მრავალი ჯილდოს მოპოვება შეძლო. გასული წლის ნოემბრიდან კი ის თამილა ნდირაშვილის მოწაფეა. ამ მოკლე დროში მან თებერვალში მონაწილეობა მიიღო თელავში გამართულ II ახალგაზრდულ მუსიკალურ ფესტივალში და საპატიო დიპლომი მოიპოვა. სულ ცოტა ხნის წინ კი, ი.ს. ბახის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა. მისი სახელი ჩაიწერება ნიუ-იორკის სამეფო აკადემიის საპატიო წიგნში.

კონცერტზე მალვინამ მაღლი ოსტატობით შეასრულა როგორც სოლო პარტიები, ისე წყვილში პედაგოგთან ერთად. საოცარია, რომ იგი ვიოლინოსაც ისე ფლობს, როგორც ფორტეპიანოს. და რაც ყველაზე საოცარია, ის არ იყურება ნოტებში, ყველა ნაწარმოებს ზეპირად უკრავს.

საოცარი ტანდემია თამილასა და მალვინას შორის. როცა ისინი ინსტრუმენტს უსხედან, მუსიკა არის მათში და მთელი არსებით ისინი არიან მუსიკაში, არის გულწრფელი დამოკიდებულება თითოეული ნოტის მიმართ, ყოველგვარი პოზიორობის გარეშე. მუსიკის ჯადოსნური სამყაროდან

„მუსიკა უძლიერესია ხელოვნებათა შორის. მისი გავლენა, სიყვარულის მსგავსად, უსასრულოა, იგი გვანიჭებს სიტკბოებასა და შესაძლოა, უფრო მეტად ნუგეშს“- დენი დიდრო.

მათ მხოლოდ ოვაციები აბრუნებს რეალობაში.

როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნე, პროგრამა იყო ძალიან საინტერესოდ შედგენილი. ქალბატონ თამილას მიერ შესრულებულ მუსიკალურ ჩანახატს ეკრანზე ბუნების ამსახველი ულამაზესი სლაიდები გასდევდა ფონად - ხან შემოდგომა და ფოთოლცვენა, ხან ჩამავალი მზის პეიზაჟი ზღვაზე, ხან ყაყაჩოები აბრიალდებიან, ხან კი მქუხარე ჩანჩქერები და მორაკრაკე ნაკადულები მიიკვლევენ გზას ყვავილნარში.

დარბაზი წუთიერი დუმილით შეხვდა თამილა ნადირაშვილის მიერ შესრულებულ მუსიკალურ კომპოზიციას „დაპირება“, რომელიც მან მიუძღვნა მეგობრების: დათო შალვაშვილის, ვასიკო რობიტაშვილის, თამრიკო ფხოველიშვილის და მუსიკალური სკოლის პედაგოგების: ლია ცოფურიშვილის, ზიზო ბიკაშვილის, ალა ცერცვაძის, დალი ძიძიკაშვილის, ეთერ ალადაშვილის ნათელ ხსოვნას.

მსმენელი ფეხზე ამდგარი აპლოდისმენტებით შეხვდა სამუსიკო სკოლის დირექტორის, ნიჭიერი მუსიკოსის მარიამ კიკილაშვილის მიერ შესრულებულ ამერიკელი კომპოზიტორის ჯორჯ გერშვინის რომანსს „ჩემო ძვირფასო“, რომლის აკომპანიმენტს ქალბატონი თამილა ასრულებდა. სცენაზე იდგა ჩვენი რაიონის სინამდვილეში კლასიკური მუსიკის ორი ბრწყინვალე წარმომადგენელი.

მსმენელთა ემოციამ კულმინიციას კონცერტის დასასრულს მიაღწია.

– ბედნიერია ადამიანი, რომელიც სიცოცხლის შემდეგ კვალს ტოვებს თანამემამულეებში და ცხოვრებას აგრძელებს მათ შორის. ასეთი ბედი ხვდა წილად რევაზ ლაღიძეს, რომლის მუსიკაც მთელი თავისი არსით, არის ქართული, ხალხურ წიაღში შობილი. „სიმღერა თბილისზე ეროვნულიცაა და ამავდროულად საყოველთაოც. ამ სიმღერას საქართველოს მიწის გემო აქვს, ისევე როგორც „მუკუზანსა“ და „ნაფარეულს“- ეს შეფასება ფრანგ მუსიკათმცოდნე რაიმონდ ლეგლანს ეკუთვნის. „თბილისო, ამაღლებული სულის, სიყვარულის, სიხარულის დაუშრეტელი სიმღერაა, იგი იჟღერებს მანამ, სანამ იარსებებს მთაწმინდა, ქართული ენა, ქართველი ხალხი“ - ბრძანა დიდმა ქართველმა მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა. მე და მალვინა ახლა სწორედ რევაზ ლაღიძის „თბილისოს“ შემოგთავაზებთ ფორტეპიანოს და ვიოლინოს თანხლებით. გთხოვთ, ჩვენთან ერთად იმღეროთ, – მიმართა დარბაზს თამილა ნადირაშვილმა და უკვდავი მუსიკა აჟღერდა. დარბაზი ჯერ გაირინდა, მერე მისამღერზე თანდათან აჰყვა და... დარბაზი და სცენა გაერთიანდა.

შესანიშნავი კონცერტისთვის სამუსიკო სკოლის დირექტორმა მარიამ კიკილაშვილმა მადლობა გადაუხადა თამილა ნადირაშვილს და მალვინა ისმაილოვას და საპატიო სიგელებით დააჯილდოვა ისინი.

მე ვეცადე, წერილში ვრცლად მომეთხრო ამ კონცერტის შესახებ, რადგან მინდოდა, ვინც ფიზიკურად ვერ დაესწრო, წერილის ნაკითხვისას მასაც სიამოვნება მიეღო, მაგრამ ვხვდები რომ ეს შეუძლებელია, ძნელია სიტყვით გადმოსცე ის, რაც იმ დღეს დარბაზში ხდებოდა, მადლობა თამილას და პატარა მალვინას ამ დიდი სიამოვნებისთვის. ისინი კვლავაც ბევრჯერ გაახარებენ მსმენელის გულს.

- იშვიათი დონის კონცერტი იყო, მათი გამორჩეული ნიჭიერება უდავოა, მიჭირს ემოციებს მოვერიო. შესრულების მაღალ დონესთან ერთად ძალიან საინტერესოდ შედგენილი პროგრამა იყო. მას შემეცნებითი ხასიათიც ჰქონდა, რაც იშვიათობაა კონცერტისთვის. ძალიან კარგი მიგნებაა. შესანიშნავი მსმენელი იყო, გემოვნებიანი მუსიკა მშვენივრად მიიღო პუბლიკამ. საერთოდაც, წალეკა უგემოვნო, ხმაურიანმა, უშინაარსო და უფორმო მუსიკამ არამხოლოდ საქართველო, არამედ დედამიწა. ამიტომ ჩვენ უნდა შემოვაბრუნოთ მსმენელი კლასიკისაკენ, რამაც საუკუნეებს გაუძლო, - თქვა ჩვენთან საუბარში გამგეობის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა.

- დღევანდელ დღეს მინდოდა მეჩვენებინა, რა როლი აქვს მუსიკას ადამიანის ცხოვრებაში, მინდოდა, საზოგადოება ორიოდ საათით მაინც გამომეთიშა ყოველდღიური საზრუნავისა და საწუხარისგან, და თუ ეს მოვახერხეთ მე და ჩემმა საყვარელმა მალვინამ, მიზანიც მიღწეულია, მალვინა ნიჭიერი გოგონაა, ის ჩემთვის საერთაშორისო დონის მეოთხე ლაურეატია ნინო ხუციშვილის, მარი ტოკლიკიშვილის და მალვინას დის-ელმირა ისმაილოვას შემდეგ, რომლებიც ჩემი გაზრდილები არიან, მალვინა ჩემთან ნოემბრიდან მეცადინეობს, ძალიან კარგად იმუშავა მასთან ექვსი წლის მანძილზე პედაგოგმა ნინო ლაპიაშვილმა, მალვინა ნიჭიერიცაა და შრომისმოყვარეც, ამიტომ მე და ჩვენი რაიონის მუსიკალური საზოგადოება მისგან კიდევ ბევრ წარმატებას ველოდებით, - თქვა ქალბატონმა თამილამ.

ჩვენც ამ იმედით დავემშვიდობეთ მათ.

ნაირა გორაშვილი

რა ხდება მაშინ, როდესაც არასაკმარისად გძინავთ

დღევანდელ დროში გამოუძინებლობა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. 1942 წელს, რიგითი ადამიანი ძილში საშუალოდ 8 საათს ატარებდა, მაშინ, როდესაც თანამედროვე განვითარებულ სამყაროში ეს მაჩვენებელი 6,8-მდე დაეცა. თუმცა, რეკომენდირებული 7-9-მდე ძილია. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხული ამერიკელების 40% 7 საათზე ნაკლებ დროს ატარებს ძილში, ხოლო 70 მილიონი აშშ-ს მოქალაქე იტანჯება ძილის დარღვევებით. ყველა ჩვენგანმა იცის, როგორი მნიშვნელოვანია საკმარისი ძილი, მაგრამ ცოტა თუ ხვდება, რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს არასაკმარისმა ძილმა.

წარმოგიდგენთ რისკების ჩამონათვალს, რომლამდეც უძილობას ან ძილის დაღვევებს მივყავართ.

გაღიზიანებადობა

ებრაელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ გამოუძინებლობის შემთხვევაში ირღვევა ემოციური სტამბილურობა, რასაც ადამიანი გაღიზიანებულობამდე მიჰყავს. ასეთ დროს ადამიანებს უჭირთ რაიმე საქმის ბოლომდე მიყვანა.

თავის ტკივილი

მართალია მეცნიერებმა ჯერ კიდევ არ იციან, რითი არის დაკავშირებული ძილის დარღვევები თავის ტკივილთან, მაგრამ მედიკოსებმა ეს კავშირი უკვე საუკუნეზე მეტია რაც დააგინეს. უძილო ღამეებმა ადამიანი შესაძლოა გამუდმებულ თავის ტკივილებამდე მიიყვანონ. როგორც აღმოჩნდა, 36-58% იმ ადამიანებისა, რომელთაც ძილის აპნოე, ანუ ზედა სასუნთქ გზებთან დაკავშირებული ძილის დარღვევა ახასიათებთ, (როდესაც ადამიანი ძილის დროს წყვეტს სუნთქვას. აპნოედ მიიჩნევა სუნთქვის შეწყვეტის ისეთი პერიოდი, რომელიც 10 წამის ან მეტი დროის განმავლობაში გრძელდება) დილით ამოუხსნელი თავის ტკივილებით ილვიძებენ.

მეხსიერება

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ არასაკმარისი ძილის დროს, საგრძნობლად ეცემა ხანმოკლე მეხსიერების ფუნქციონირება, რის გამოც, ადამიანს უჭირს ახალი მასალის ათვისება.

წონის პრობლემა

ძილის უკმარისობა იწვევს წონის მატებას და აძლიერებს შიმშილის გრძნობას. უძილობაც ერთგვარი სტრესია, რომელიც არღვევს ჰორმონალურ ბალანსს, აიძულებს ორგანიზმს, წარმოქმნას მცირე რაოდენობით ლეპტინი (ჰორმონი, რომელიც ნაყროვანებაზეა პასუხისმგებელი) და გაცილებით დიდი რაოდენობით გრელინი (ჰორმონი, რომელიც შიმშილის გრძნობას განაგებს). შედეგად ადამიანს გამუდმებით შია.

გულის დაავადებები

როდესაც მკვლევარებმა, ექსპერიმენტის მონაწილეები ფხიზლად 88 საათის განმავლობაში დატოვეს, მათ წნევა აეწიათ, ეს ალბათ არ წარმოადგენს დიდ სიურპრიზს. თუმცა, მკვლევარებმა ასევე დაადგინეს,რომ ის ადამიანები, რომელთაც საკმარისად არ სძინავთ ან ძილის დროს ხშირად ილვიძებენ და შფოთავენ უფრო მეტად არიან მიდრეკილები გულ-სისხლძღვთა დაავადებების მიმართ ვიდრე დანარჩენები.

ინფექციები

ერთი უძილო ღამეც კი თქვენს ორგანიზმს რისკის ქვეშ აყენებს და იმუნური სისტემის დაქვეითებას უწყობს ხელს.

ციება

თუკი ფიქრობთ, რატომ ცივდებით ხშირად, მაშინ როდესაც მთელ დღეებს თბილ ოფისში ატარებთ, პასუხი - არასაკმარისი ძილია. მეცნიერებმა 153 ადამიანისგან შემდგარ ჯგუფში ჩაატარეს კვლევა, ექსპერიმენტის მონაწილეთა ერთ ნაწილს 8 საათი ან უფრო მეტი ხანი ეძინა, ხოლო მეორე ნაწილს 7 საათზე ნაკლები. ამის შემდეგ ისინი ერთნაირად ცივ ტემპერატურაში მოათავსეს. ექსპერიმენტმა ცხადჰყო, რომ ის ადამიანები, რომლებასაც ძილის უკმარისობა აწუხებდათ სამჯერ უფრო ხშირად ხდებოდნენ ავად, ვიდრე ისინი, რომელთაც სრულფასოვანი ძილით ეძინათ.

დიაბეტი

უძილობა შეიძლება დიაბეტის გამოწვევის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი გახდეს, რადგან ამ დროს ირღვევა მეტაბოლიზმის პროცესი.

ილიკო შარვაძე

ნეტავ კიდევ რამდენი ზამთარი და ზაფხული მოვა, ჩემო ერთადერთო შვილო, ჩვენს შეხვედრამდე? მოვიდა 21 ივნისი-შენი დაბადების დღე, გილოცავ, ჩემო სიხარულო. მესამედ ვხვდები ამ დღეს უშენოდ. ძალიან მიჭირს, მენატრები, შენ 41 წლის გახდი, ჩემო დედისერთა ბიჭო. ამ დღეს საკუთარ თავს არ ვეკუთვნი, ბევრ კითხვას ვუსვამ ჩემს თავს- რატომ ხდება ასე?- სად გადის დედაშვილობის ზღვარი, როგორ ვეგუები უშენობას?- ასეთი ტკივილი ყველაზე მძიმეა ამქვეყნად.

ჩემო ილიკო, შენ ხომ ძალიან გიყვარდა შენი დაბადების დღე. ყოველთვის დიდი სიხარულით მოელოდი. 21 ივნისი ათვლის წერტილად გქონდა ქცეული, ასე ამბობდი: ჩემს დაბადების დღეს, ჩემი დაბადების დღის შემდეგ- ყველაფერს ამ დღეს უკავშირებდი, თუკი რაიმე ახლის წამოწყებას გადაწყვეტდი.

შენ ჩემი ოჯახის საძირკველი და ციხე-სიმაგრე იყავი, ახლა კი ყველაფერმა დაკარგა აზრი უშენოდ, რაც წავიდა, უკან არასოდეს აღარ დაბრუნდება, ყველაფერი დამრჩა მწარე მოგონებად. შენ აღარ ხარ, მაგრამ აღარ ხარ ფიზიკურად, თორემ ისე მუდამ ჩემთან ხარ, შვილო, ჩემს გულში. ჭრილობა შეიძლება შეხორცდეს, მაგრამ ნაიარევი არასდროს გაქრება, ჩემო ილიკო.

ძნელია სიცოცხლე შვილმკვდარი დედისა და ყოველდღიური მოლოდინი ერთადერთი შვილისა. სულ გელოდები, მგონია, შემოხსნი კარებს და სიხარულით შემომანათებ შენს ცისფერ თვალებს.

განა შეიძლება, დედას შენნაირი შვილი მიწაში ეგულებოდეს და თვითონ კი მზით გამთბარ დედამიწაზე ადგამდეს ფეხს?- ეს რეალობაა, ჯოჯოხეთი, რომლის შეცვლაც, სამწუხაროდ, არ შემიძლია, უძლური ვარ, მაპატიე, ჩემო შვილო.

რიცხვი 21 ჩემი და შენი ცხოვრების დასაწყისიც არის და დიდი უბედურების და ცხოვრების დასასრულიც. 21 ივნისი შენი დაბადების დღეა და 21 ნოემბერი კი უდროოდ დასრულებული სიცოცხლის შემზარავი დღე.

შენთვის და ჩემთვის ერთდროულად გაჩერდა დრო, წინ აღარ მიიწევს. რამდენი აუხდენელი ოცნება დაგრჩა, ჩემო უიღბლო ბიჭო. შენ სიცოცხლით სავსე, სიცოცხლეზე შეყვარებული და იმედიანი იყავი, მაგრამ ვაი, რომ დედას იმედი გაუცრუე, ვის იმედად დამტოვე, შვილო, ვის ჩააბარე ჩემი თავი. რატომ დამიტოვე შენი თავი იმქვეყანაშიც საფიქრელად და მოსავლელად, ალბათ იფიქრე, დედაჩემი როგორც ცოცხალს მივლიდა, ასევე კარგად მომივლის მერეცო. რატომ გამიმეტე სამუდამო ტანჯვისთვის.

ჩვენ ხომ ისედაც უდიდეს დარდს ვატარებდით მამაშენის უდროოდ დაკარგვის გამო, ნუთუ ეს არ იყო საკმარისი, რაღად მინდოდა კიდევ ასეთი სიმწარე შვილის, მაგრამ, ალბათ ასეთი ყოფილა ჩემიც და თქვენი ბედიც.

ახლა მხოლოდ თქვენი მოგონებებით ვარსებობ, ძალიან ძნელია თქვენს საფლავზე მოსვლა, მაგრამ მეტი რაღა დამრჩენია, მოვალ, აგინთებ 41 სანთელს, ეს წმინდა სანთლები იქნება შენი საჩუქარი დაბადების დღის აღსანიშნავად. სიხარულის ნაცვლად კი დედის მწარე ცრემლები დაგედინება გულზე. იქნებ ამით მაინც გაგათბო. მარადიულ სასუფეველში ეს დღე საყვარელ მამასთან, ბებია-პაპებთან და ყველა შენს ახლობლებთან ერთად აღნიშნე.

არ არსებობს სიტყვა და საქმე, რომელიც შვილის ტკივილს მოუშუშებს დედას. გელოდები, სიზმრად მაინც მომევლინე, შვილო. ღმერთო, მალე შეგვახვედრე ერთმანეთს მონატრებული დედა-შვილი.

შენი ტანჯული დედა
ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე

ვასილ მენთეშაშვილი

სიტყვა „სიკვდილი“ ყოველთვის შემზარავია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ოჯახი კარგავს იმ ადამიანს, ვინც გულთან ახლოსაა.

შენი დაბადების დღე ახლოვდება. 24 ივნისს 51 წლის გახდებოდი. ორი თვე და ექვსი დღეა, რაც დაგვტოვე. ისე ჩუმად და უპრეტენზიოდ წახვედი ამ ქვეყნიდან, როგორც ცხოვრობდი, ჩვენო ვასი, ძალიან მოულოდნელი იყო ყველასთვის შენი გარდაცვალება, მოულოდნელად გულის შეტევით გარდაიცვალე. დაგვაკლდი ყველას-ოჯახის წევრებს, შენს მეგობრებს, თანამშრომლებს, მეზობლებს. კარგი მეგობარი იყავი, ერთგული, ჭირის მოზიარე და ლხინში გვერდში მდგომი. ყოველთვის მხნე და ხალისიანი იყავი, ამიტომაც გაგვიკვირდა შენი სიკვდილი. ყველამ პატივი მოგაგო, ყველამ გულით დაგიტირა და გაგაცილა უკანასნელ გზაზე. ყველასთან სიკეთე და კარგი კაცობა დაიმსახურე.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე, ბრწყინვალე შვიდეულის მეექვსე დღეს, სამოთხის კარი შეაღე, დაგვშორდი და თან წაიღე სითბო და სიყვარული.

მონატრება, რომელსაც შენი სახელი ჰქვია, გაუსაძლისია. შენი პატარა შვილიშვილი ანი, ყოველთვის გახსენებს, იმედი აქვს, რომ მოხვალ და მოეფერები. უშენობას ჯერაც ვერ შეგუებია. რამდენი ნატვრა დაგრჩა განუხორციელებელი? რამდენი რამის გაკეთება გვინდოდა ერთად? მაგრამ... ჩვენ ყოველთვის მოვალთ შენს სამუდამო განსასვენებელთან, მოგიტანთ ყვავილებს, ცრემლიანი თვალებით დაგინთებთ უამრავ სანთელს და ვილოცებთ შენი სულისთვის.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული.

შენი ოჯახი

ქ. დედოფლისწყაროს N3 ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მარი ელოშვილს დედის
ნუნუ ელოშვილის
გარდაცვალების გამო.

ახალგაზრდა, ვისთვისაც სოფლის მეურნეობა პრიორიტეტია...

ზურაბ მასურაშვილი ჯერ მთლად ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე წარმატებული ფერმერის სახელი აქვს. ის იმითაცაა გამორჩეული, რომ ძალიან უყვარს შინაური ცხოველები, ბუნება და სოფლის მეურნეობა.

ცოტა ხნის წინ ქალაქ კიევში რიგით მერვე საერთაშორისო მერძეულთა კონგრესი ჩატარდა, საქართველოს ამ კონგრესზე მხოლოდ ზურაბი წარმოადგენდა. „ამ კონგრესის შესახებ ინტერნეტის საშუალებით შევიტყე და ძალიან მომინდა იქ მონაწილეობის მიღება, რადგან ვიცოდი, კონგრესი სწორედ იმ სფეროს შეეხებოდა, რომლითაც მე დაინტერესებული ვარ. რეგისტრაცია რომ გავიარე, აღმოჩნდა, რომ მონაწილეთა შორის ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი, ამიტომ ორგანიზატორებმა შეღავათები დაუშვეს გამონაკლისის სახით- მგზავრობის ხარჯები მე გავიღე, სამაგიეროდ სასტუმრო და კიევში ცხოვრება უფასო იყო“-გვიყვება ზურა კონგრესზე მოხვედრის ამბავს.

ზურამ კონგრესზე საკმაოდ ბევრი და ღირებული ინფორმაცია მიიღო მესაქონლეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კერძოდ, როგორ ვაწარმოოთ ექსტრა-ხარისხის რძე. ეს საკითხი იყო ყველაზე აქტუალური ამ კონგრესზე, ასევე განიხილავდნენ საქონლის მოვლისა და ჯიშთა გამოყვანის თემებს, საუბარი იყო იმაზე, მინიმალური დანახარჯით როგორ შეიძლება მიიღონ საუკეთესო პროდუქცია. აქ შეკრებილ ფერმერთა მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, გამოცდილების გაზიარების გზით დაენერგათ ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც მათ ფერმერულ მეურნეობებს სასიკეთოდ წაადგებოდა. თავად ზურამ სწორედ ამ კონგრესზე შეიტყო ინფორმაცია თანამედროვე საპრესი აპარატის თაობაზე, რომლის მეშვეობითაც მწვანე მასის დაკონსერვება ხდება. „საქართველოში ეს ტექნიკა არსებობს, ის ჰქონდა ჩვენს სერვის-ცენტრსაც. მოხდა მისი აწყობა-გამართვა და დედოფლისწყაროში პირველად ჩემი საქონლისთვის დამზადდა მწვანე მასა ზამთრის სეზონისათვის. ერთი ფერმაა თელეთში, მეორე კი- ჩემია მთელი საქართველოს მასშტაბით“-ამბობს ზურა ჩვენთან საუბარში.

ჩვენ უკრაინაში არსებული სიტუაციით ვინტერესდებით-როგორაა იქ სოფლის მეურნეობა განვითარებული, რა პირობებში უწევთ ფერმერებს საკუთარი ბიზნესის წარმოება, რამდენად ჰუმანურია საკანონმდებლო ბაზა...

„ერთი დღე გვქონდა იმისთვის, რომ უკრაინული ფერმები შემოგვევლო და დაგვეთვალიერებინა. პრობლემა ყველგან არის, თუმცა იქ ისეთი დონის ფერმერული მეურნეობები ვნახე, ნამდვილად არ მეგონა... გარდა იმისა, რომ ვიზუალურად საკმაოდ თანამედროვედ გამოიყურება, მისი აღჭურვაც შესაბამისია. გადასახადებს რაც შეეხება, გაცილებით მეტი შეღავათები აქვთ. ყველაზე მეტად კი მიღებული პროდუქციის რაოდენობამ მოახდინა ჩემზე შთაბეჭდილება- ერთ დღეში ერთი ფერმა საშუალოდ 25 ტონა რძეს აწარმოებს, თუმცა იქ რძეს ფასიც შესაბამისი აქვს და არა წყალზე იაფი, როგორც ეს ჩვენთანაა“-გვიყვება ზურა უკრაინულ შთაბეჭდილებებს და ამბობს, რომ მისი სურვილია, ახლო მომავალში საქართველოშიც დაინერგოს ბევრი ახალი ტექნოლოგია, რათა სოფლის მეურნეობა გაძლიერდეს და ჩვენი, ადგილობრივი ბაზარი სამამულო პროდუქციით იყოს გაჯერებული, ოღონდ ჯანსაღ პროდუქტზე ფასები გაცილებით მაღალი უნდა იყოს, მწარმოებლების დაინტერესების მიზნით. ამისთვის კი საკანონმდებლო ბაზის დახვეწაა საჭირო, მხოლოდ კანონმა უნდა დაარეგულიროს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციისა და თუნდაც გენმოდიფიცირებული პროდუქციის ერთმანეთისგან გამიჯვნა და მომხმარებელზეც და მწარმოებელზეც რეალური ზრუნვა. სწორედ ესაა სახელმწიფოს ფუნქცია.

ინგა შიოლაშვილი

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსს,მეუფე დიმიტრის!

ბილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და სულიერ გამძლეობას, რათა დიდხანს ემსახუროთ დედა-ეკლესიას და ჩვენს მრევლს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა.

მეუფე დიმიტრის!

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსს, მეუფე დიმიტრის ვულოცავთ დაბადების დღეს! ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, წარმატებას ჩვენი ეპარქიის გაძლიერებისა და აღმშენებლობის საქმეში.

პატივისცემითა და სიყვარულით
სოფელ სამრეკლოს ბაგა-ბაღის თანამშრომლები.

ნანა სეხნიაშვილს!
ანა ფიროსმანაშვილს!

ბილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს იმ საპატიო საქმეში, რასაც მომავალი თაობის აღზრდა ჰქვია. იყავით ბედნიერები თქვენს ოჯახებთან და ახლობლებთან ერთად.

ქ. დედოფლისწყაროს N3 ბაგა-ბაღის თანამშრომლები.

აკაკი ტუსაშვილს!
თიკო ტეტელოშვილს!

ჩვენო ძვირფასებო, ბილოცავთ პირველი შვილის- ნინის დაბადებას.

გისურვებთ, რომ გახარებული და ბედნიერი მშობლები ყოფილიყავით და მუდამ გეამაყოთ თქვენი აღზრდილი შვილით. პატარა ნინის კი ვუსურვებთ ჯანმრთელობას და უფლის წყალობას.

დიდი სიყვარულით
პაპები, ბებიები, მამიდა, ბიძები.

ნიკა ჭუჭულაშვილს!

ბილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, კარგად სწავლას, რითიც გაახარებ აქ დედას და იმქვეყნიურ სამყოფელში-მამას. ეს ასეც იქნება, რადგან ძალიან საყვარელი და ჭკვიანი ხარ. არ შეარცხვენ არც შენს მშობლებს და არც ჩვენ.

სიყვარულით: სოფო, ნინო,თამარ სანიკიძეები.

მაია ბოსტაშვილს!

ჩემო საყვარელო ძმისშვილო მაია, ბილოცავ დაბადების დღეს. ჩემო მაიკო, მიხარია, რომ ყოველთვის ასეთი მხნე და შემართებული ხარ. ასეთი ლამაზი ოჯახის პატრონი, სამი ლამაზი ვაჟკაცის დედობა, ადვილი არ არის.შენ, ყოველთვის ენერგიული, შრომისმოყვარე ხარ სახლშიც და სამსახურშიც. დიდხანს იცოცხლე ჯანმრთელი სიცოცხლით. ძალიან, ძალიან მიყვარხარ. გეხვევი და გკოცნი.

შენი მამიდა ქეთევან ბოსტაშვილი-ოზგეთელაშვილი.

საქართველოს ჩემპიონატი „კუნგ-ფუ“ სანდაში

ქალაქ რუსთავში, 7 ივნისს , ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი „კუნგ-ფუ“ სანდაში. მონაწილეობდა ყველა რეგიონის 150-ზე მეტი სპორტსმენი, საუკეთესო დონის შეჯიბრი ჩატარდა. ამ ჩემპიონატზე კახეთის რეგიონის ოთხი გუნდი მონაწილეობდა. მთლიანობაში კახეთის რეგიონმა საუკეთესო შედეგები აჩვენა. ეს კახეთის „კუნგ-ფუ“ს ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ ბრაგინის, ვიცე-პრეზიდენტის ბესიკ ზედელაშვილის და გენერალური მდივნის და მთავარი მწვრთნელის გენადი ნატროშვილის დამსახურებაა. დედოფლისწყაროდან მონაწილეობდა ზემო მაჩხაანის სპორტული კლუბი „ზაქები“-ს ორი სპორტსმენი ძმები -გიორგი და სანდრო ნატროშვილები, რომლებმაც ყველა შეხვედრა სუფთა გამარჯვებით დაამთავრეს და გახდნენ საქართველოს ჩემპიონები უკვე მერამდენედ.

სულ რაღაც ერთ კვირაში სანდრო ნატროშვილი ერთწლიანი პაუზის შემდეგ რინგზე ავა და ბრძოლას გამართავს საერთაშორისო ტურნირში K-1-ის წესებით და ტაილანდურ კრივში.თვის ბოლოს კი მიწვეულია რვა კუთხედში საბრძოლველად, რომელიც MMA-ს წესებით გაიმართება. მოგეხსენებათ, რომ სანდა იმართება ტატამზე, ხოლო ზემოთ ჩამონათვალი სახეობები რინგზე და რვა კუთხედში.

ს ი ა ხ ლ ე !

გაიხსნა ავტოსკოლა დედოფლისწყაროში, 9ძმის ქუჩა N2-ში
(მუსიკალური სკოლის წინ).
შევასწავლით როგორც თეორიას, ასევე პრაქტიკას მექანიკური და ავტომატური სატრანსპორტო საშუალებებით.
არის სამკვირიანი კურსი თეორიის და პრაქტიკის. შესწავლა გარანტიით.
დაგვიკავშირდით ნომრებზე:
☎ 599 99 48 38, 577 34 55 39

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება ხუთოთახიანი ბინა 190 კვ.მ მიწის ნაკვეთით. მეორე სართული . მისამართი: რუსთაველის 118,
☎ 599 48 46 28.

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება ოროთახიანი ბინა ლოჯვით მეორე სართული (ლურჯი კორპუსი). მისამართი: ბარათაშვილის ქუჩა N8,
☎ 592 90 70 60.

ა მ ი ნ დ ი დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 22.06		სამშაბათი 23.06		ოთხშაბათი 24.06		ხუთშაბათი 25.06		პარასკევი 26.06		შაბათი 27.06		კვირა 28.06	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
26 °	23 °	27 °	23 °	27 °	23 °	26 °	25 °	23 °	19 °	23 °	21 °	22 °	21 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-ქენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქინქლაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K